ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი,

წარმოგიდგენთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის დღიდან, 2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს.

დანართი: 13 (ცამეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

თევდორე კობახიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის საკრებულოს აპარატში
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცელთა რაოდენობა 14 ფურცელი
10/18481 02.09.2015

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის

თევდორე კობახიძის

წლიური ანგარიში

2014 წლის 14 ივლისიდან 2015 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით

გაწეული საქმიანობის შესახებ

როგორც მოგეხსენებათ, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად არჩეული ახალი მოწვევის თბილისის საკრებულო მუშაობას შეუდგა 2014 წლის 14 ივლისს.

როგორც იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე წარმოგიდგენთ ამ კომისიის აღნიშულ პერიოდში მუშაობის ანგარიშს. ამასთან, ამ ანგარიშში გაგაცნობთ ჯამურ სტატისტიკურ მონაცემებს და ასევე თვალსაჩინოებისთვის წარმოვადგენთ ჩატარებული სხდომებისა და განხილული საკითხების/განცხადებების ნაწილის შესახებ ინფორმაციას, და მოსახლეობის მაღალი ინტერესიდან გამომდინარე შემუშავებულ/განხორციელებულ კანონპროექტებსა და ღონისძიებებს.

საკრებულომ ამ დროის განმავლობაში ჩაატარა 45 სხდომა, რომლებზეც მიღებულ იქნა 214 დადგენილება და 661 განკარგულება, ხოლო იურიდიულ საკითხთა კომისიამ განვლილი ერთი წლის განმავლობაში ჩაატარა 54 სხდომა და ჯამში ამ სხდომებზე განხილული იქნა 411 საკითხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში 2014 წლის 21 ივლისიდან 2015 წლის 29 ოქტომბრის ჩათვლით (მდგომარეობით) სულ შემოსულია 824 განცხადება/წერილი. ასევე ჩემი კომისიის სამდივნოს თანამშრომლების მხრიდან ასობით მოქალაქეს გაეწია ზეპირი იურიდიული კონსულტაცია.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ ყველა აღნიშნულ განცხადება/წერილზე უკვე მოახდინა კანონშესაბამისი რეაგირება.

როგორც მოგეხსენებათ, იურიდიულ საკითხთა კომისია, თავისი საქმიანობის სფეროში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ანხორციელებს სამართლებრივი, ნორმაშემოქმედებით-ნორმატიული ხასიათისა და შინაარსის საქმიანობას, კერძოდ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული სამართლებრივი აქტების პროექტების თაობაზე სამართლებრივი დასკვნების შემუშავებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულებაზე კონტროლს და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ იურიდიული სასიათის სხვა საქმიანობასაც.

ვინაიდან იურიდიულ საკითხთა კომისიის სწორად და გამართულად ფუნქციონირებისთვის აუცილებელია იურიდიული განათლება კომისიის არსებობის ფუნქციონალური დანიშნულებიდან გამომდინარე, საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ამავე კომისიის სამდივნოს ფარგლებში თანამდებობების დასაკავებლად ნორმატიულად შემოვიღე დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შემადგენელი მთავარი და განმსაზღვრელი საკვალიფიკაციო მოთხოვნა - უმაღლესი განათლება და შესაბამისად იურისტის კვალიფიკაცია, რაც მანამდე, სრულიად მიზანშეუწონლად არ არსებობდა.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას კონკურსების მეორე, ანუ ტესტირების ეტაპისათვის დადგენილი ჰქონდათ და აქვთ დღესაც განსხვავებული ქულათა ზღვრული ოდენობები, კერძოდ: კანდიდატს, რომელიც მონაწილეობას იღებდა და მიიღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში, ტესტირების ეტაპზე უნდა მიეღო და მიიღოს მინიმუმ 45 (ორმოცდახუთი) ქულა, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცხადებული კონკურსის ფარგლებში, ტესტირების ეტაპზე კანდიდატის მიერ სავალდებულოდ მისაღები ქულის მინიმალური ზღვრული ოდენობა შეადგენდა და შეადგენს 40 (ორმოც) ქულას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ჩემი უშუალო მოთხოვნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის სამდივნოში ვაკანტური თანამდებობები დაიკავეს, მხოლოდ იმ კანდიდატებმა, რომლებმაც ტესტირების ეტაპზე მიიღეს არანაკლებ 45 და 45-ზე მეტი ქულა. რადგან მიმაჩნდა და დღესაც მიმაჩნია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მათ შორის ამავე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიში, რომელიც გვევლინება, როგორც დედაქალაქის აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემის მიერ განხორციელებული საქმიანობის მაკონტროლებელი უწყება და შესაბამისად წამყვანი - მაკონტროლებელი კომისია არ შეიძლება დაფორმირდეს კადრებით რომელთაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლებზე ნაკლები

კვალიფიკაცია ექნებათ თუნდაც ერთ-ერთ საკონკურსო კრიტერიუმში, რაც განისაზღვრება ქულათა ოდენობით.

ჩემს მიერ იურიდიულ საკითხთა კომისიის სათავეში მოსვლის შემდეგ აღმოფხვრილ იქნა მოქალაქეთა განცხადებებზე პასუხის გაცემის მანამდე არსებული მანკიერი პრაქტიკა - განმცხადებელთათვის წერილების უკან დაბრუნება, საკითხის განხილვაზე საკრებულოს არაუფლებამოსილების საფუძველზე მითითებით, დღეის მდგომარეობით ყველა მოქალაქეს ამომწურავად ეცნობება განცხადებაში მოთხოვნილ საკითხზე პასუხი, ასევე საჭიროებისა და შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში ხდება გადამისამართება უფლებამოსილ ორგანოებში.

ასევე ჩემს მიერ შემუშავებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნის სრულიად ახალი, ფორმა, განსხვავებით წინათ არსებული ფორმისა, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შაბლონურად იყო მითითებული საკითხის დადებითად ან უარყოფითად შეფასების შესახებ, შემუშავებული ფორმის მიხედვით იურიდიულ საკითხთა კომისიის დასკვნა შედგება აღწერილობითი, სამოტივაციო, სარეზოლუციო და დადგენილებითი ნაწილებისგან, სადაც ნათლად ჩანს, თუ რა საკითხი განიხილა იურიდიულ საკითხთა კომისიამ, რას მოიცავს საკითხი, დასაბუთებულია თუ რა სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით მიიღო დადებითი თუ უარყოფითი გადაწყვეტილება.

სოციალურ ქსელ ფეისბუქში 2014 წლის აგვისტოში სოციალურ ქსელ facebook-ში შევქმენი ოფიციალური გვერდი „Tedo Kobakhidze Official", რათა საზოგადოებას მისცემოდა საშუალება მათ პრობლემებსა და საკითხებზე მოემართათ სასურველ დროს და ჰქონოდათ უშუალო კომუნიკაცია პირადად ჩემთან, როგორც დეპუტატთან. ჩემი მხრიდან მყისიერად ხდება პასუხის გაცემა დასმულ შეკითხვასა თუ პრობლემებზე და არაერთი უშუალო შეხვედრა გავმართე მოქალაქეებთან – იმ ადამიანებთან, ამომრჩევლებთან, რომლებიც ფეისბუქის ოფიციალური გვერდის საშუალებით დამიკავშირდნენ მათი პრობლემების მოგვარების მიზნით და საჭიროების შემთხვევაში პრობლემების უშუალოდ გაცნობის მიზნით ვიმყოფებოდი ადგილზე. აღსანიშნავია, რომ „Tedo Kobakhidze Official"-ს ამჟამად ჰყავს ექვსი ათასზე მეტი მომხმარებელი, და აღნიშნული რიცხვი დღითიდღე იზრდება.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატურად მიმდინარეობს უშუალო, გასვლითი შეხვედრები ქალაქ თბილისის მოსახლეობასთან მათი პრობლემების გაცნობისა და მოგვარების მიზნით.

გაიმართა გასვლითი შეხვედრები დედაქალაქის მოსახლეობასთან. შევხვდით ორთაჭალის ტერიტორიაზე მცხოვრებ ოცამდე ოჯახის წარმომადგენლებს. საკითხი შეეხებოდა ზემოაღნიშნული მოსახლეობისთვის საკმაოდ მძიმე პრობლემას, მათ არ აქვთ წყალარინის სისტემა, რის გამოც ამ ქუჩასა და მათ ეზოებში სრული ანტისანიტარიაა.

ზემოაღნიშნულ პრობლემების უკეთ შესწავლის და შესაბამისი შედეგის მიღების მიზნით ისნის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატთან ზურაბ ნეფარიძესთან ერთად მოვიწვიე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობა, ისნის რაიონის გამგებლი, კომპანიის „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის" („Georgian Water and Power") წარმომადგენლები, სამუშაო შეხვედრას ჩოლოყაშვილის ქუჩისა და ნავთლუღ-კახეთის რკინიგზის სახლის მაცხოვრებლები ესწრებოდნენ. გასვლითი შეხვედრების შედეგად აღმოჩნდა, რომ ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას კიდევ 150-მდე ოჯახი.

აღნიშნული სამუშაო შეხვედრის დასასრულს იმის გათვალისწინებით, რომ პირადად ვიმყოფებოდი ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე კორპუსსა და ნავთლუღ-კახეთის რკინიგზის სახლში და იქ მცხოვრები ჩვენი თანამოქალაქეების ყოფით პირობებს გავეცანი, სადაც ორივე სახლში დევნილები არიან ჩასახლებულნი, მივიღე გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ სამუშაო ჯგუფი ამ საკითხს არა მხოლოდ ისნის რაიონის, არამედ დედაქალაქის მასშტაბით შეისწავლის, შედგება სამოქმედო გეგმა, გაკეთდება ფინანსური დასკვნები, თუ რა ოდენობის თანხა იქნება საჭირო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად და დასახელდება კონკრეტული ვადები, რომელთა ფარგლებშიც, ეტაპობრივად, დედაქალაქის შევძლებთ მასშტაბით ამ საკითხის გადაწყვეტას.

ფეისბუქის ოფიციალური გვერდის საშუალებით დამიკავშირდნენ მოქალაქეები, რომელთაც დადებული ჰქონდათ ხელშეკრულებები სააქციო საზოგადოებასთან „სილქნეტთან", ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა წინასწარ ჰქონდათ გადახდილი რათა მომხდარიყო მათთვის შესაბამისი სერვისით უზრუნველყოფა, თუმცა ხსენებული კომპანია არ ასრულებდა მასზე დაკისრებულ ვალდებულებას რის გამოც მოსახლეობას ჰქონდა დავა 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. საკითხის მოგვარების მიზნით დავუკავშირდით სს „სილქნეტს" და მოლაპარაკების წარმოების გზით შევძელით ზემოაღნიშნული 70-მდე მოსახლისათვის პრობლემის აღმოფხვრა.

მსგავსი შეხვედრები პერმამენტულად იმართებოდა და მომავალშიც გაიმართება იურიდიულ საკითხთა კომისიაში. ჩვენ მოვისმინეთ არაერთი მოქალაქის შრომითი უფლებების დარღვევის ფაქტები, გავეცანით თითოეული ფაქტის შესახებ

ინფორმა
სწრაფად ნ

იურიდიუ
არსებულ
მოვისმინ
თბილისე
კვალიფიც
შექმნა, რო

იურიდიუ
მოქალაქე
სტატუსი ე რ) სკ ლამდელი ა შ
საჯარო დ 'უ ე ' ი (საბაშვო ბაგა- ')
აღზრდის) სეს ' ლ ბ ბის მ ომსახურებ მ ' '
წარმოადგ ' ს ' '
საქართველ
ლიბერალ ' სა '
უმნიშვნელ

ამასთან, ' ' ბ
სელშეწყო
რომე
სელშ
პრობ '
რეს ' მ ზნო ' ა) ა ს
აღნ ' ' პროგრ ' შ ' ' '

გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M³კატეგორია) მოძრაობის მარშრუტების პროექტი, რომლის ფარგლებში მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებითა და ჩემი აქტიური ჩართულობით 10 შემთხვევაში განხორციელდა ცვლილებები M³ კატეგორის ავტობუსების მოძრაობის სქემებში და საერთო ჯამში მივიღეთ 93 საავტობუსო მარშრუტი; ყოველდღიურად სამუშაო დღეებში ხაზზე გამოდის მინიმალურად 474 ერთეული ავტობუსი, შაბათ დღეს 393, ხოლო კვირა და უქმე დღეებში - 350 ერთეული. ცვლილებების განხორციელებამ ხელი შეუწყო მგზავრთა გადაყვანის დროის შემცირებას და გააუმჯობესა მოსახლეობის ტრანსპორტით მომსახურეობის ხარისხი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ჩართულობით დაკორექტირდა და საბოლოო სახე მიიღო სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვალისწინებული ვაუჩერით დაფინანსების საკითხმა. აგრეთვე აღსაზრდელების მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში რეგისტრაციის და მიღება-ამორიცხვის წესმა. აღნიშნულის წესის მიზანია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვის დეცენტრალიზაცია და მომსახურების ეფექტიანობის გაზრდა, ასევე ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციის და მიღება-ამორიცხვის პროცესის გაუმჯობესება და სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის განვითარება. პროექტის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური სახსრების ოდენობაა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში რეგისტრირებული თითოეული აღსაზრდელისათვის წელიწადში საშუალოდ 1 200 ლარია.

იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ ამ საკითხზე შემუშავებული წინადადება წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელმაც სრულად გაითვალისწინა იურიდიულ საკითხთა კომისიის შენიშვნები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განსახილველად-მისაღებად წარმოუდგინა შესაბამისად სახეცვლილი პროექტი.

მე, როგორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრმა საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე კომისიის 31 სხდომაში.

ამასთან, საზი უნდა გაესვას, რომ ჩემი ურბანულ კომისიაში მონაწილეობის ფარგლებში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა დედაქალაქის ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შესამუშავებლად, რაც უზრუნველყოფს დედაქალაქის მდგრადი განვითარებისა და მოსახლეობის ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი პირობების ჩამოყალიბებას, გრძელვადიანი ქალაქმშენებლობითი

სტრატეგიის განსაზღვრას და ტერიტორიების სამშენებლო განვითარების მართვის ქმედითი ინსტრუმენტის შექმნას. ამ პროექტის განსახორციელებლად 2015 წლის ბიუჯეტში ჩაიდო 2 მილიონ 300 ათასი ლარი. გამოცხადებული იქნა კონკურსი და დღეისათვის გამოვლენილია გამარჯვებული მსხვილი საერთაშორისო კონსორციუმი და უმოკლეს ვადაში თბილისის ისტორიაში პირველად ქალაქს ექნება სივრცით-ტერიტორიული განვითარების მართვის სრულყოფილი დოკმენტი, რითაც მოგვეცემა სამშენებლო პროცესების მართვისა და მისი განხორციელების კონტროლის შესაძლებლობა.

ასევე აქტიურად ვიყავი და ვარ ჩართული როორც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" წევრი, ფრაქციის მუშაობაში. შესწავლილ მრავალ საკითხთაგან მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ჯანდაცვის სოციალური მომსახურების სააგენტოსთან სამუშაო შეხვედრების შედეგად ფრაქციამ შევძელით, რომ გადაიხედება სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირების წესი, ასევე, შეფასების კრიტერიუმები. ინვენტარი, რომელიც ადრე მიიჩნეოდა ფუფუნების საგნად, ვგულისხმობ საყოფაცხოვრებო მომსახურების და სხვა ნივთებს აღარ იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი.

გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, იმისათვის, რომ მხარეებმა მიზნობრიობით განვავითაროთ პარტნიორული ურთიერთობები, აქტიურად ვითანამშრომლოთ იურიდიული სფეროს მიმართულებით და განვახორციელოთ სხვა სახის საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

საქართველოს მთავრობის პოზიციიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფოსა და სელისუფლების ურთიერთობა ბიზნესთან უნდა იყოს ჰარმონიული და დარეგულირებული, არ შეიქმნას ხელოვნური ბარიერები, არამედ პირიქით - მაქსიმალურად უნდა გამარტივდეს პროცედურები, რათა საქართველოში განხორციელდეს კიდევ უფრო მეტი ინვესტიცია და შენარჩუნდეს ჯანსაღი და თავისუფალი ბიზნეს გარემო, იურიდიულ საკითხთა კომისიამ 2015 წლის 12 თებერვალს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკისა და

საერთაშორისო ურთიერთობების კომისიებთან გაერთიანებულ სხდომაზე განიხილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შპს „ლანცეტის“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან, რაც შეადგენდა დაახლოებით 2.000.000 აშშ დოლარს, გათავისუფლების საკითხი.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ ჩემი ხელმძღვანელობით, ვინაიდან ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო დაკისრებული პირგასამტეხლოს გაანგარიშების წესი, არ იყო წარდგენილი კალკულაციის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი და აქედან გამომდინარე, დაუკონკრეტებელი იყო შეუსრულებელი საინვესტიციო ვალდებულების მოცულობაც და როგორც ზევით აღვნიშნე სახელმწიფოს მიერ აღებული ეკონომიკური კურსიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიე შპს „ლანცეტის“ დაკისრებული პირგასამტეხლოსაგან გათავისუფლების საკითხზე დადებითი რეკომენდაციის გაწევის საკითხი.

აღნიშნული მიზნებიდან გამომდინარე იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ მომზადებულ რეკომენდაციას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასთან დაეთანხმნენ ზემოხსენებული კომისიები და შეაბამისად შპს „ლანცეტს“ გაეწია დადებითი რეკომენდაცია, ხსენებული რეკომენდაციის საფუძველზე ქალაქ თბილისი მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირების წესით წარმოდგენილ იქნა ქ. განკარგულების პროექტი, რომლითაც შპს „ლანცეტი“ თავისუფლდებოდა პირგასამტეხლოსგან, რასაც ერთხმად დაუჭირა მხარი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ.

ამდენად, სახგასმით არის აღსანიშნავი, რომ ხსენებული საკითხი საბოლოოდ შპს „ლანცეტის“ სასარგებლოდ პოზიტიურად გადაწყდა, რაშიც უდიდესი წვლილი შეიტანა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ და ძირითადად და პირველ რიგში – ამავე საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიამ. რითიც, ვფიქრობ, რომ კიდევ ერთხელ განვავრცე და რეალურად განვახორციელე სახელისუფლებო გუნდის საქიანობის პრიორიტეტი ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის საკითხში.

იურიდიულ საკითხთა კომისიამ განიხილა მელიქიშვილისა და ნიკოლაძის ქუჩების და კოსტავას II შესახვევში მცხოვრები მოსახლეობის კოლექტიური განცხადება, რომელნიც განმცხადებლები ითხოვდნენ ვარაზისხევის, მელიქიშვილისა და კოსტავას ქუჩებისგან შემდგარი სატრანსპორტო კვანძის - „სამკუთხედის“ გაუქმებას, რადგან

განმცხადებელთა მითითებით ცვლილებების განხორციელების შედეგად შეექმნათ გაუსაძლისი მდგომარეობა, მოიმატა ჰაერის დაბინძურებამ და ხმაურმა, ასევე მათი განმარტებით, არათუ აღმოიფხვრა, არამედ გართულდა სატრანსპორტო მოძრაობა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მივმართე, 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის დროს დაზიანებულ წყნეთი-ბეთანიის გზაზე სტიქიის სალიკვიდაციო, მდინარე ვერეს ხეობისა და მიმდებარე ტერიტორიის მდგომარეობის შესავლისა და შემდგომი აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებისათვის შექმნილი უწყებათაშორისი კომისიის ხელმძღვანელს, პრემიერ-მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს, რათა მოხდეს საკითხის განხილვა კომისიის ფარგლებში და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება.

მოსახლეობის მრავალწლიანი პრობლემის მოგვარების მიზნით, ჩემს მიერ შემუშავებულ იქნა „საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში ხმაურის შემცირების გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების თაობაზე" საკანონმდებლო წინადადება, იურიდიულ საკითხთა კომისია დაახლოებით ორი თვის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ" კანონპროექტზე, რადგან ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა არ შეიცავს აღნიშნული საკითხის მარეგულირებელ ნორმას. კანონპროექტის შემუშავება განაპირობა გასართობი და სხვა დაწესებულებებიდან გამომავალი ხმაურის შედეგად, მოსახლეობაში შექმნილი მძიმე მდგომარეობის დარეგულირების საჭიროებამ.

აღნიშნულ საკითხზე შეხვედრა გავმართე დედაქალაქის მუნიციპალიტეტის დიდუბის, ვაკის, ძველი თბილისისა და საბურთალოს რაიონის მოსახლეობასთან. მოვისმინეთ ხმაურთან დაკავშირებით მოსახლეობის პრობლემები.

ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში ხმაურის შემცირების გადაუდებელ ღონისძიებათა თაობაზე გაიმართა სამუშაო შეხვედრა ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, გარემოს დაცვისა და ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიებთან, აღნიშნულ სამუშაო შეხვედრაზე მოწვეულები იყვნენ ქალაქ თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლები და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი პირი - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი, რომელთაც მივაწოდე ინფორმაცია „საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ზონებში ხმაურის შემცირების

გადაუდებელ ღონისძიებათა გატარების თაობაზე“ შემუშავებული კანონპროექტის თაობაზე.

ზემოაღნიშნული კანონპროექტი ითვალისწინებს ქმედების ან უმოქმედობის, რაც დაკავშირებულია ხმაურის დადგენილი ნორმების დარღვევასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევის საკითხს, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს და ადმინისტრაციული სახდელის სახესა და ზომას, ასევე განსაზღვრავს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს, კერძოდ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ერთეულს, რომელიც მოახდენს კანონშესაბამის რეაგირებას და შეუფარდებს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენ პირს.

აღნიშნული კანონპროექტის მომზადების პროცესში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, გაიმართა არაერთი საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან, ასევე - ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები იურიდიულ საკითხთა კომისიამ გაითვალისწინა კანონპროექტის საბოლოო რედაქციის შემუშავებისას.

აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებული კანონპროექტის მიღება შეესაბამება ევროკავშირისა და ევროპარლამენტის 2002/49/EC დირექტივას „გარემოში ხმაურის შეფასებისა და მენეჯმენტის შესახებ“ და მის მიზნებს.

აქვე ხაზგასასმელია, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კვლევა ჩაატარა გამოცდილმა და სანდო ორგანიზაციამ ACT - ეისითიმ - ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა რომ გამოკითხულთა 87 პროცენტი საქმის კურსში იყო რომ მათი პრობლემების მოგვარების მიზნით შევიმუშავეთ ხმაურის შესახებ რეგულაციების შემოღების კანონპროექტი, რომელთაგან 94 პროცენტი დადებითად და დროულად აფასებდა ჩემს მიერ შემუშავებულ კანონპროექტის ამუშავებას

აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიულ საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული ხმაურის რეგულაციასთან დაკავშირებული კანონპროექტი, რომელიც შემდგომი მსვლელობის მიზნით, წარედგინა საქართველოს პარლამენტს, სადაც ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტში განხორციელებული მისი განხილვისა და მოწონების შედეგად, აღნიშნული კომიტეტის მხრიდან მოხდა ხმაურის რეგულაციასთან დაკავშირებული კანონპროექტის ინიცირება, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, განისაზღვრა ამ კანონპროექტის განხილვისას წამყვანი კომიტეტად - იურიდიულ საკითხთა

კომიტეტი, რომელიც უძღვება მისი საპარლამენტო განხილვის პროცედურებს და პასუხისმგებელია მათ დაცვაზე. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილებით, სავალდებულო კომიტეტებად, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტთან ერთად, ასევე განისაზღვრა დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა მხარი დაუჭირა აღნიშნულ კანონპროექტს. დღეის მდგომარეობით კანონპროექტის განხილვა შეჩერებულია, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ მოსახლეობის ამ ერთ-ერთ ყველაზე რთულ და დღემდე გადაუჭრელ პრობლემას საკანონმდებლო ორგანო მოუგვარებელს არ დატოვებს.

ჩემი შუამდგომლობითა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის დახმარებით, 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახის ყველა ბავშვისთვის მოეწყო ღონისძიება გასართობ კომპლექსში „ჯინო პერედაისი", რომელიც ა(ა)იპ „ქალთა თანადგომის" მიერ იქნა ორგანიზებული.

ოქტომბრის დასაწყისში იურიდიულ საკითხთა კომისიის სამდივნოს თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობა მივიღე რთველში კახეთში სიღნაღის რაიონის სოფელ ვაქირში.

სიღნაღის გამგებელთან ერთად ადგილზე გავეცანი მევენახეების პრობლემებს და მინდა აღვნიშნო, რომ ცენტრალურ მთავრობასთან და ხელისუფლებასთან ურთიერთობით გლეხობამ შეძლო ის, რომ ძალიან წარმატებულად ჩააბარა ყურძენი. ვფიქრობ, წლევანდელი წელი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, რომ ახალი ხელისუფლება უმკლავდება ყველა იმ გამოწვევას, რომლებიც მის წინაშე დგას.

წელს თბილისობის 36-ე დღესასწაული მივულოცე თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის მცხოვრებლებს.

ვინაიდან მოხუცებულებს არ ჰქონდათ შესაძლებლობა აღენიშნათ და დასწრებოდნენ თბილისობის დღესასწაულთან დაკავშირებულ ღონისძიებებს, გადავწყვიტეთ მათთვის ადგილზე მოგვეწყო დღესასწაული და მათთან ერთად გაეტარებინა ეს დღე.

მოხუცებულთა პანსიონატში მაცხოვრებლებს გადავეცით ტკბილეული და სხვა საჩუქრები, გავეცანი მათ პრობლემებს და დავპირდით უახლოეს მომავალში გადაწყვეტას.

აღნიშნული დღის კიდევ უფრო გასალამაზებლად დავით ოქიტაშვილისა და ჯემალ სეფიაშვილის მხარდაჭერით დაახლოებით ორ საათიანი კონცერტიც მოეწყო, სადაც ცნობილმა მომღერლმა რამდენიმე სიმღერა შეასრულა.

დღეს გვესწრება თბილისის ხანდაზმულთა პანსიონატის დირექტორი ქალბატონი დარეჯან თომაიძე და პანსიონატის მაცხოვრებლები ბატონი მურმან ხაჭაპურიძე და ქალბატონი დალი რეხვიაშვილი. მინდა მათ მობრძანებისთვის და იმ ლამაზი დღით ჩემთვის მონიჭებული სიხარულისთვის უღრმესი მადლობა გადავუხადო. აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ღონისძიება არ იყო ერთჯერადი ხასიათის და მათ აუცილებლად მომავალშიც აღმოვუჩენთ თანადგომას.

გარდა ზემოთქმულისა იურიდიულ საკითხთა კომისია კვლავ განაგრძობს აქტიურ მუშაობას. აქვე გაცნობებთ, რომ უახლოეს მომავალში იგეგმება სხვადასხვა ორგანიზაციებთან მემორანდუმების გაფორმება ურთიერთანამშრომლობის მიზნით, რაც ორმხრივად სასარგებლო იქნება როგორც ხელშემკვრელი მხარეებისათვის თვითმართველობის საკანონმდებლო სივრცეში არსებული თეორიული და პრაქტიკული შემოქმედების მათთვის გაცნობის კუთხით, ასევე, იურიდიულ საკითხთა კომისიისათვის, როგორც თვითმართველობის მთავარი კანონშემოქმედისათვის.

ვფიქრობ, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდობას მათ მიერ მიღებული განათლების და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განხორციელების კუთხით, ასევე მათი ცოდნის გაღრმავებას ადგილობრივი თვითმართველობასთან დაკავშირებულ მოქმედ კანონმდებლობაში. სწორედ ამ მიზნით უახლოეს მომავალში იგეგმება ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება უმაღლეს სასწავლებლებთან, მათ შორის ამ ეტაპზე კავკასიის სამართლის სკოლასთან, რომლის დეკანიც ბატონი ზაზა მარუაშვილიც გვესწრება დღეს, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სოხუმის უნივერსიტეტთან, გურამ თავართქილაძის სახელობის უნივესიტეტთან, თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტთან და სხვა უნივერსიტეტებთან.

იურიდიულ საკითხთა კომისია კვლავ აქტიურად მუშაობს ტრანსპორტთან და სასაფლაოების მოვლა პატრონობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით, როგორ უკვე აღვნიშნე ვგეგმავთ სამუშაო ჯგუფის შექმნას სადაც ქართველ ექსპერტებთან ერთად უცხოელი ექსპერტებიც ჩაერთვებიან, სამწუხაროდ დღემდე ვერ მოხერხდა გამოცდილების გაზიარება შესაბამისი ნორმატიული ბაზის შექმისა და

უკვე შეძდგომ მატერიალური საკითხების განხორციელებისათვის. იმედი მაქვს შევძლებთ ევროპულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკის ადგილზე გაცნობას ან გამოცდილი ექსპერტების უშუალო მონაწილეობის მიზნით მოწვევასა და პროცესში ჩართვას მათი ცოდნის და გამოცდლების გაზიარებისათვის.

ასევე, მიმდინარე წლის ბოლოსათვის ა(ა)იპ „ქართული ოცნება - ჯანმრთელი მომავალთან" გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 10 რაიონში საქველმოქმედო აქცია/ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც 10 000 (ოცი ათასი) მაცხოვრებელს ჩაუტარდება უფასო სამედიცინო გამოკვლევა და დიაგნოსტიკა. ქალაქ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველ საუნივერსიტეტო კლინიკაში ჩაუტარდებათ სამედიცინო - პრევენციული, დიაგნოსტიკური და ინსტრუმენტული კვლევები, რასაც უზრუნველყოფენ 30-მდე სხვადასხვა პროფილის, მაღალკვალიფიციური ექიმი-სპეციალისტები.

ამასთან, ჩემი ინიციატივით შეიქმნება „თბილისის ახალგაზრდული საკრებულო", რომლის ფარგლებში ახალგაზრდა დეპუტატები ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი ბაზის დახვეწის მიზნით შეიმუშავებენ რეკომენდაციებს და წინადადებებს სამართლებრივი აქტების თაობაზე მოაწვდიან თბილისის საკრებულოს. მუდმივად შეხვდებიან მოსახლეობას თბილისის მასშტაბით პრობლემებისა და საჭიროებების უკეთესად წარმოსაჩენად და მათი შემდგომი ადვოკატირების მიზნით. გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხელს შეუწყობენ ახალგაზრდული როლის გაძლიერებას. საზოგადოებასა და სამთავრობო სექტორს შორის შეასრულებენ დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას.

აქვე, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ აქტიურად ვთანამშრომლობ მედია საშუალებებთან, ყოველთვის ვიჩენ მზაობას ჩავერთო დებატებში, რათა მოსახლეობას მივაწოდო ზუსტი ინფორმაცია მიმდინარე მოვლენებსა და ჩემს მიერ გაწეულ საქმიანობასთან დაკავშირებით. ვიყენებ ყველა სახის მედია საშუალებას, რათა პასუხი გავცე ნებისმიერ შეკითხვას. ამავდროულად, ვარ აბსოლუტურად გახსნილი მოქალაქეებთან ურთიერთობაში, ჩემი გულწრფელი პოლიტიკით მათთვის ჩემი კარი ყოველთვის ღიაა მათი პრობლემებისა თუ მოსაზრებების მოსმენისათვის.